ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი  ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №76

2015 წლის 17 ივლისი,
ქ. ბათუმი

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს №87, 2012 წლის 27 ივლისის №134 დადგენილებების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გ. ფარცხალაძის 2015 წლის 10 ივლისის №2977, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2015 წლის 13 ივლისის №3002, სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ქ. ბერიძის 2015 წლის 8 ივლისის №2928, განათლების ფაკულტეტის დეკანის მ. მიქელაძის 2015 წლის 14 ივლისის №3073, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 13 ივლისის №2991, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ. გიორგაძის 2015 წლის 15 ივლისის №3089 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადდეს მიღება;
2. დოქტორანტურაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს **დანართი 1**–ის შესაბამისად;
3. კომისიებს ეთხოვოთ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №134, „ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს №87 დადგენილებების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება;
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**

დანართი 1

## დოქტორანტურაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით

| სადოქტორო პროგრამების დასახელება | ვაკანტური ადგილების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|
| ტექნოლოგიური ფაკულტეტი | | |
| სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა | 1 | |
| აგროეკოლოგია და მცენარეთა დაცვა | 2 | |
| ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | | |
| ლიტერატურათმცოდნეობა (2-ქართული ლიტერატურა. 2-ევროპული და ამერიკული ლიტერატურა) | 4 | |
| ლინგვისტიკა ( 1-ქართული ენა. 3-რუსული ენა.1-ფრანგული ენა. 3-ინგლისური ენა. 2-თარგმანთმცოდნეობა) | 10 | |
| ისტორია | 3 | |
| არქეოლოგია | 4 | |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | | |
| ბიზნესის ადმინისტრირება | 4 | |
| ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი | 4 | |
| ეკონომიკა | 4 | |
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი | | |
| ბიოლოგია | 10 | |
| ბიოორგანული ქიმია | 2 | |
| სულ | 48 | |